

დამტკიცებულია 20.04.2018წ

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს.
2. სტაჟირების მიზანს წარმოადგენს, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, მათი პროფესიული განვითარებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, რისთვისაც სასწავლო უნივერსიტეტი მსურველს უქმნის დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისათვის საჭირო პირობებს.
3. სტაჟიორთა რაოდენობა განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით (ერთი საგანმანათლებლო პროგრამა - ერთი სტაჟიორი).

მუხლი 2. სტაჟიორის მიღება და სტაჟირების გავლის ვადები

1. სასწავლო უნივერსიტეტში სტაჟიორად პირი მიიღება შესაბამისი განცხადების საფუძველზე. განცხადების წარდგენა ხდება სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით.
2. სტაჟიორთა მიღება ხორციელდება ყოველწლიურად, ორ ნაკადად. პირველი, შემოდგომის ნაკადის მიღება ხდება სექტემბერში, ხოლო მეორე, გაზაფხულის ნაკადის - მარტში.
3. სასწავლო უნივერსიტეტს შესაბამისი ნაკადისათვის გათვალისწინებული ვადის დაწყებამდე 2 თვით ადრე საჯარო სამსახურის ბიუროს აწვდის ინფორმაციას სტაჟიორთა კვოტის, მიმართულებისა და დარგის/სპეციალობის შესახებ. სასწავლო უნივერსიტეტი ინფორმაციას აწვდის ბიუროს, მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში.
4. სტაჟირების ვადა შეადგენს არაუმეტეს 6 თვეს
5. სტაჟიორობის კანდიდატმა სასწავლო უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს :
 - ა) წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ;
 - ბ) მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ერთი ფოტოსურათი (3X4); ე) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში).

6. სტაჟირების დაწყებამდე სტაჟირების კანდიდატი ვალდებულია გამოცხადდეს სასწავლო უნივერსიტეტში და გაიაროს რეგისტრაცია. სტაჟირების არგამოცხადების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი იფორმაციას აწვდის საჯარო სამსახურის ბიუროს.

მუხლი 3. სტაჟირის უფლება მოვალეობები

1. სტაჟირის უფლება აქვს:

ა) გაეცნოს დოკუმენტაციას, ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით (ელექტრონული საშუალებებით და სხვა), თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და არ ზღუდავს სასწავლო უნივერსიტეტის ინტერესებს;

ბ) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;

გ) გაეცნოს დაწესებულების მუშაობის სპეციფიკას, იმ საკითხების მომზადებასა და სათანადო დოკუმენტების შედგენას, რომელიც მოცემულ სფეროს მიეკუთვნება და გამოიყენოს მათი კვალიფიციური ცოდნა დაკისრებული დავალებების შესრულებისას;

2. სტაჟირი ვალდებულია:

ა) სტაჟირად დანიშნვიდან არაუგვიანეს ორი კვირისა საფუძვლიანად გაეცნოს სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობას;

ბ) უფლებამოსილების განხორციელებისას განუხრელად იხელმძღვანელოს სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით;

გ) დადგენილ ვადებში შეასრულოს ყველა კანონიერი დავალება, რომელიც მას დაეკისრება.

დ) იქონიოს კონტაქტი სასწავლო უნივერსიტეტის იმ სტრუქტურულ ერთეულთან, სადაც გადის სტაჟირებას;

ე) შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

3. კონტროლს სტაჟირის მიერ მისი მოვალეობების შესრულებაზე ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი.

4. სტაჟირების შედეგების დადებითი შეფასების შემთხვევაში, სტაჟირს ეძლევა სტაჟირების გავლის სერტიფიკატი.

მუხლი 4. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტა

1. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება.

ბ) სასწავლო უნივერსიტეტით დადგენილი შესაბამისი ნორმების დარღვევა;



გ) არასაკაპიტო მიზეზით 5 დღის განმავლობაში სტაჟიორის სასწავლო უნივერსიტეტში გამოუცხადებლობა;

დ) სტაჟიორის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა.

2. სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი ფაკულტეტის წინადადების საფუძველზე.

3. სტაჟირების შედეგების დადებითი შეფასების შემთხვევაში, სტაჟიორს ეძლევა სტაჟირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი .

მუხლი 5. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

